საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000045635669918

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 26 07 / მაისი / 2018 წ.

# დადგენილება

**„ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის № 51 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge,09/10/2014, 010250050.35.162.016268) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

**1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდებას ანიჭებს მუნიციპალიტეტის მერი.“

**2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ე) ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს;“

**3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 5**

,,1. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი 7 (შვიდი) წევრის შემადგენლობით, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, იხილავს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად წარმოდგენილ მასალებს. მათი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში წინადადებას და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის პროექტს წარუდგენს მერს.

2. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.“

**4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-6 მუხლის:**

**ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ 2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის მონაცემები შეტანილი იქნება „ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წიგნში“, რომელიც ინახება მუნიციპალიტეტის მერიაში.“

**ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წიგნს“, ბრძანებით ამტკიცებს მერი.“

**5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების ჩამორთმევის უფლება აქვს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს შესაბამისი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.“

**6. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ს მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 8**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის დამადასტურებელი მოწმობის დამზადებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.“

**7. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N2 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.**

**მუხლი 2.**

დადგენილება გამოქვეყნდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — თამარ ყეინიშვილი

დანართი 2

ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის მოწმობის ფორმა

(ახმეტის მუნიციპალიტეტის გერბი)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის

მოწმობა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა

ბატონ /ქალბატონ ------------------- -------------------------------------------

სახელი გვარი

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის 20.. წლის --------------N---- ბრძანებით.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი: